პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სია დანართის შესაბამისად.

(დანართი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის
№ დადგენილების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სია

1. ივანე ჯავახიშვილის ქუჩა;
2. მიხეილ ბუხაიძის ქუჩა;
3. ირაკლი აბაშიძის გამზირი;
4. ავტომშენებლის გამზირი;
5. ვახტანგ ხარებავას ქუჩა;
6. მამია ორახელაშვილის ქუჩა;
7. ზვიად გამსახურდიას გამზირი;
8. დავით აღმაშენებლის გამზირი;
9. ნოდარ დუმბაძის ქუჩა;
10. შოთა რუსთაველის გამზირი;
11. იოსებ გრიშაშვილის ქუჩა;
12. აკაკი წერეთლის ქუჩა;
13. ახალგაზრდობის გამზირი;
14. გიორგი ლეონიძის ქუჩა;
15. ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა;
16. გრიგოლ აბაშიძის ქუჩა;
17. ვიქტორ კუპრაძის ქუჩა;
18. სოლომონ პირველის ქუჩა;
19. თამარ მეფის ქუჩა;
20. კონსტანტინე ბარქაიას ქუჩა;
21. 26 მაისის ქუჩა;
22. თბილისის ქუჩა;
23. გელათის ქუჩა;
24. მერაბ კოსტავას ქუჩა;
25. მარი ბროსეს ქუჩა;
26. ფელიქს ვარლამიშვილის ქუჩა;
27. წმინდა ნინოს ქუჩა;
28. დავითი და კონსტანტინეს ქუჩა;
29. კონსტანტინე ლესელიძის ქუჩა;
30. გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა;
31. დავით მანდარიას ქუჩა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:**

ა) **დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:** „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტების ორგანოები უფლებამოსილია დაამტკიცოს იმ გზების სია, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბ) **დადგენილების პროექტის მიღების მიზანია:** მძღოლთა მოსამზადებელმა დაწესებულებებმა შეუფერხებლად განახორციელონ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება, რისთვისაც შერჩეულ იქნა სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) საჭირო გზების სია (დადგენილების დანართი).

2. **დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. **დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:**

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური.

4. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი.

5. **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი პირი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

იოსებ ხახალეიშვილი